

დ რ თ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 255 კვირა, 15 ნოემბერი 1909 წ. დამატების № 45

მიმღერე ტურფავ!

—:—
 მიმღერე ტურფავ... აკვნესდი ჩანგად...
 ჩამოჰქმენ ჰიმი სიყვარულისა,
 და ჩემს ცრემლთა-ტბას შეუერთევი
 საიდუმლონი მოკლულ გულისა!...
 * *
 შემასხი ფრთები... ცალ აღმიტაცე...
 გამიცისკროვნე ფერად იმედით;
 ამა სოფლისგან ტანჯულ-გვემული
 შემშოს—შემამკე შარავანდელით!..

* *
 მსურს გადავიხსნა ნაღველო სამყარო
 გული — უხადო, წრფე უ-უანგარო
 და ტანჯვისა წილ, კაცად კაცადმა
 სასიხარულო ცრემლები ვღვარო!..
 * *
 ტურფავ მიმღერე ხმები სალხენი,
 სევდაში ამყნე იმედის ია, —
 სატრფოს ნუგეში — აშიყისათვის
 საამსოფლიო ხომ ედემია?..

ი. გრიშაშვილი.

თბილის ღვთაება.

—:—
 გაუვალ უდაბნოში, ქვე-
 ყნად წოდებულში, სცხო-
 ვრობდა ობოლი.
 მრავალფერ ცხოვრება-
 ში, თვალუწვდენ ქვეყანა-
 ზე რად დარჩა ობლად,
 — თვითონაც არ იცოდა
 და ვერც მიმხვდარიყო.
 თითქოს იგი დაბადები-
 დან სცხოვრობდა ხალხში;
 ადამიანთა შორის მიჰქრო-
 და მისი სიცოცხლე მსწრა-
 ფლად მავალი, მაგრამ ვე-
 რას დროს ვერც ერთ
 იმათგანს იგი მაინც ვერ
 უერთებდა თავის ობოლ
 გულს ან თავის ტირილით.
 ან თავის სიცილით. იგი
 ყოველთვის იღიმოდა მარ-
 ტოდ, ცრემლს ჰღვრიდა
 ობლად, განცალკევებით..
 ცხოვრების ფართო გზა-
 ზე, სიკვდილისკენ მიმა-
 ვალზე, სადაც ცოცხალნი
 ადამის ძენი ყველანი ერ-
 თად მიემართვიან, იგი ყო-
 ველთვის მიდიოდა სხვის
 მოშორებით. ხან გაუსწრე-
 ბდა სხვა დანარჩენთ, ხან კი
 სულ ყველას ჩამორჩებოდ
 მაგრამ მარადის მიდიოდა
 მაინც სულ მარტო მაინც
 ობლად, განცალკევებით..



ეტიუდი, — სურათი სამოკიშისა.

სხვა დანარჩენთ კი არ
 იცოდა ვინ სად მიჰყავ-
 დათ, რას უჩვენებდნენ,
 რას ჰპირდებოდნენ.
 ამიტომ იგი ცხოვ-
 რებაში მარად ვილო-
 და გზა-აზნეულად.
 იმან იცოდა, რასაც
 ეძებდა, რასაც ეტრ-
 ფოდა, მაგრამ რომელ
 გზით მიედწია თავის
 მიზნისთვის, საი წა-
 სულიყო, ესარ იცო-
 და და საცოდავად გზა
 აზნეული სულ აქეთ-
 იქით ეხეტებოდა.
 იგი ეძებდა თავის
 ღვთაებას, ღვთაებას
 წმიდას, სათაყვანე-
 ბელს, რომლისთვისაც
 არ დაჰზოგავდა თავის
 სიცოცხლეს, სიკვ-
 დილს ღიმილით სა-
 ლამს უძღვნიდა, რო-
 მელსაც იგი ღრმა
 თაყვანებით თავის
 წრფელ გრძობებს
 და წმიდა აზრებს
 ტრფობით გარშემო
 შემოახვევდა.
 მაგრამ სად იყო...
 სიცოცხლის დღე-
 ნი სწრაფად მიჰქ-
 როდნენ პირქუშ
 წარსულში და სიკვ-
 დილიც, დაუნდო-
 ბარი, ნელად უძ-
 ღვნიდა შორეულ სა-
 ლამს ბურუსით მო-
 ცულ მომავალიდან.

ქრელი ცხოვრების უთვალავ გზათაგან იგი იცნობდა არ სჩანდა ღვთაება... მიჰქროდა სიცოცხლე... გულიც მხოლოდ ერთ მათგანს, სიკვდილისაკენ სწორედ მიმავალს; კვდებოდა....

ცხოვრებაში დაღალული, მთლად დაქანცული იგი საშველად მოიწვევდა შორეულ ფიქრებს, წარმოდგენებს და ტკბილ ოცნებებს...

იგი ისმენდა როდესაც შორეულ წარსულში ნახ სიმთა ნაჟღერს, საამო ჰანგებს ტკბილ ხმებად ნამღერს. ესმოდა ეს ხმანი მომავალშიაც, თუ ვინმე ოდესმე აჟღერდა სიმებს, იტყოდა ჰანგებს, ტრფობით აღვსილი, გატაცებული.

მათში უნდოდა ეპოვა ობოლს, რასაც ეძებდა, რასაც ეტრფოდა, მაგრამ ამაოდ... არ სჩანდა ღვთაება... ვერ ჰპოვა შვება, გულის სიმშვიდე...

ჰხედავდა იგი ქვეყნიერების წარსულში განცდილ ტანჯვა-სიხარულს, ჰხედავდა მასაც თუ მომავალშიც რა სიამეს ან რა ზანჯვას განიცდის იგი, თვითონ ობოლიც იმსჯელებოდა ქვეყნის ამ განცდით და მასში ჰსურდა დაენახა თავის ღვთაება, მაგრამ არ სჩანდა, რასაც ეძებდა, რასაც ეტრფოდა ობოლის გული...

ჰხედავდა იგი თვალწინ ამართულ ბუმბერაზ მთებსაც, მედიდურად ცისკენ მაკეკრალთ; წარმოედგინა ქვეყანაზე არსებული უცხო მხარენიც, რომელთ მდებარეობაც ამართულან კიდევ სხვა მთები, უფრო ლამაზნი, უფრო ამაყნი, თვალის წარმტაცნი, შესაყვარებნი. მათ მწვერვალებზე, მათ ნაპრალებზე ეძებდა იგი თავის ღვთაებას; ეძებდა სულით, ეძებდა გულით, წარმოდგენებით, ტკბილ ოცნებებით, მაგრამ ამაოდ... მაინც ამაოდ...

არ სჩანდა ღვთაება... მიჰქროდა სიცოცხლე... გულიც კვდებოდა... გზა-აბნეული, სასო მიხდილი ვიღოდა ქვეყნად გულ-გატეხილი.

აღარ იცოდა, აღარ ესმოდა, არსებობს ქვეყნად რასაც ეძებდა და მხოლოდ ობოლს არ შეეძლო იმისი პოვნა, თუ ამა ქვეყნად არ არსებობს რამე ღვთაება და მისი ძებნაც არის მხოლოდ ამაოება?..

ამ შავი ფიქრებით გულ დაკოდილი, მწარე კითხვებით მთლად არეული გაუგებრად ეხეტებოდა ცხოვრების უღაბნოში, უგზო-უკვლოში. ეხეტებოდა, იღლებოდა და ვერ ჰპოვებდა, რასაც ეძებდა...

მაგრამ... აკი უეცრივ მოევლინა ბედნიერება. ამ უღაბნოში, უგზო-უკვლოში ბოლოს წააწყდა თავის ღვთაებას. ეღიროსა ბოლოს რასაც ეძებდა. ჰპოვა ღვთაება, ჰპოვა ნუგეში. ედებოდათ ექცა მთელი ქვეყანა, მისად ექცა მთელი სიცოცხლე.

იგი იყო ღმერთი ტრფობის, ღმერთი ოცნების და სიყვარულის... ქურუმნი მრავლად გარს ეხვეოდნენ, საკმელს უკმევდნენ, ხარბათ შესცქერდნენ და ღმერთიც, თითქოს, მადლობის ნიშნად, ღმილს უძღვნიდა მონა-მორჩილებს...

- ეს არის ღვთაება!
- ეს არის ნუგეში!
- მე მას ვეძებდი!

აღფრთოვანებით ჩურჩულებდა გულში ობოლი.

იქვე მრავლად მოეყარათ თავი მლოცველებს. ოქრო და ვერცხლით უცხადებდნენ თაყვანისცემას და ღვთის ზვარაკზე უხვად სცივოდა თვალ-მარგალიტი.

ტრფობით უცქერდა ობოლი თვის ღმერთს, ზიზღით შესცქერდა მის თაყვანის მცემთ. მათ დანახვაზე ობოლის გული შფოთავდა, ჰღელავდა, ვერ ისვენებდა.

- როგორ აკადრეს ღმერთს ოქრო-ვერცხლი!
- როგორ აკადრეს თვილ-მარგალიტი!

აღშფოთებით იძახდა გულში.

ქურუმნი კი, ანგარებით ფრთებ-შესხმულები, უხვად უძღვნიდნენ შემომწირველთ სალამს, მადლობას.

რამდენჯერმე ღმერთსაც შეჰხედა ობოლმა ჩუმად, ჰსურდა გაეგო, როგორ უცქერდა თაყვანისმცემელთ, ან რას

ეტყოდა თავის ქურუმთ მათ საქციელზე; მაგრამ ვერ მიხვდა, ვერ გაიგო მისი სიჩუმე, წყნარი ღმილი ზიზღს ჰხატავდა იმათდამი თუ—წრფელ მადლობას...

— ნეტავი ჩქარა მოშორდებოდნენ!

— ნეტავი ჩქარა დამტოვდნენ მარტოდ, რომ სასოებით თაყვანი ვსცე მეც ჩემს ღვთაებას!

ჰნატრობდა გულში, სიხარულით აღტაცებული.

ბოლოს გაბრუნდნენ თაყვანისმცემნიც. ყველას ეთქვა გულში ნადები, ყველამ დასტოვა ღვთის ზვარაკზე უკანასკნელი რქო და ვერცხლი და თან მიჰქონდათ მხოლოდ მადლობა ქურუმთაგან ნაწყალობევი.

ღვთაების წინ სასოებით წარსდგა ობოლი და მთრთოლვარე ხმით, მოწიწებით მიჰმართა იმას:

— ჩემო ღვთაებავ! შენ უნდა ჰხედავდე, როგორ ჰხარობს ჩემი გული შენს დანახვაზე. მე არ შემიძლიან საბრალო სიყვებით ლოცვა, მოწიწებით ვედრება. არც საქირა, რადგან მე არაფერს არა ვთხოვ. ჩემთვის მარტო ისიც კმარა, რომ ვეღირსე ბოლოს შენს ნახვას. მხოლოდ ერთს ვთხოვ, რომ ჩემგანაც მიიღო მსხვერპლი და მეც შემეძლოს თაყვანი ვსცე ჩემსა ღვთაებას, ჩემსა იმედს და ჩემსა ნუგეშს.

— ფართო არის ღვთისა ზვარაკი! იგი დაიტევს ყველას მსხვერპლსა, გოლწრფელათ მოძღვნილს.

ერთად შესძახეს ქურუმებმა ობოლს პასუხად.

— ჩემო ღვთაებავ! მაშ მიიღე ჩემგან მსხვერპლად ჩემი აზრები. ეს მსხვერპლი ჩემთვის ძვირფასია, იმიტომ გიძღვნი. შენის იმედით აღზრდილნი იგინი, შენს ძებნაში გაწვრთნილნი იგინი. იგინი არიან ჩემი ფარი, ჩემი ხმალი და ჩემი ძალა. რამდენჯერ უჩვენებიათ მათ ჩემთვის ცხოვრების შემადრწუნებელი წყვლიანი, სადაც გზა მებნეოდა, ვიკარგებოდი, ვიბნეოდი მაგრამ ისევ მათვე მოუფენიათ ნათელი წყვლიადში მყოფისთვის და დაუხსნივარ გზა-აბნევიდან, სიბნელიდან, სასოწარკვეთილებიდან. რამდენჯერ გადაუტყუროცნივარ იმათ სამყაროს უსამზღვრო უფსკრულში, რამდენჯერ, სადაც მომელოდა საუკუნო დაღუპვა, არა რად ქცევა, მაგრამ უეცრივ დაუნახებიათ შენი სხივოსანი იმედი, რომელთანაც სჩქეფდა სიცოცხლე, სიყვარული, ცხოვრების ძალა და ამ განგებით დაუხსნივარ დაღუპვისგან, არარად ქმნისგან.—ო, რა მალა შეუძლიანთ მათ ფრენა, რა სწრაფად! ქერუბიმივით ფრთებშესხმულნი რამდენჯერ ამოფრენილნი იგინი შენს სიმაღლემდის, რამდენჯერ მოგხვევიან გარს. იგინი თავიანთი შორს მხედველობით, თავიანთი სისწრაფით გეძებდნენ ყველგან ხმელეთზეც, ზღვაზეც, ჰაერშიც, ცაზეც, თვით თავიანთ თავშიც და რა გპოვებდნენ, გიფრთხილდებოდნენ, როგორც ღვთიებს—არ დაჰკარგოდი.


ესლა შენ გწირავ ჩემო ღვთაებავ ამ ჩემსა აზრებს. დე, დაიტეოს შენმა ზვარაკმა ეს ჩემი მსხვერპლიც!

- რა საჭიროა!
- ვის რათ უნდა შენი აზრები!
- უკან წაიღე, ეგ სამსხვერპლოთ არ გამოდგება!
- არ გამოდგება!
- არ გამოდგება!

შესძახეს ერთად ქურუმებმა ცალკე მდგომ ობოლს.

ობოლს ეგონა მარტო აზრნი არა კმაროდნენ სამსხვერპლოდ ღვთისა და უფრო გულუხვით მიჰმართა ღვთაებას თვალხარბ-ქერუმთა გასაგონათაც.

— ჩემო ღვთაებავ! ჩემგრძობებსაც შენ გზირავ მსხვერპლათ! გულთა მხილაო! შენ უნდა იცნობდე, თუ რა არიან ჩემი გრძობანი: თავიანთი სიწმიდე, სისპეტაკე შეუძენიათ შენ სიყვარულში, მოგონებაში ფრინველთა კიკიკში, წყაროს ჩხრიალში, სიმთა ჟღერაში მოუკრეფიათ ტკბილ-ხმოვანება. ყვავილთა ფურჩქვნაში, სურნელად ქცევაში, ნია-



ვის სისინში, ჩურჩულში, ლაქუცში შეუძენიათ მათ სინაზე, მგრძობიარობა. მთების ცქერაში, არწივთა ფრენაში, ხალხთა ბრძოლაში იძენდნენ ისინი ძალას, მხნეობას; სიღიაღეს, ზედატაცებს... განა შენ თვითონ არ აღძრავდი მათ შენ სასიყვარულოდ, შენ სატრფიალოდ? ეხლა იგინიც მიღე მსხვერპლად, ნუ მეტყვი უარს!

სდუმდა ღვთაება. ქერუმნი კი მკვახედ გასძახრენ!

— რა საჭიროა!

— ვის რად უნდა შენი გრძობანი!

უკან წაიღე! ეგ სამსხვერპლოდ არ გამოდგება.

— არ გამოდგება!

— არ გამოტყება!

შეკრთა ობოლი ქერუმთა ხმაზე, მაგრამ რადგანაც სდუმდა ღვთაება, ქურუმთა პასუხს არ მიაქცია მან ყურადღება.

— ჰოი, ციურო! თუ მარტო აზრები ღლა გრძობანი არა კმარან შენ სამსხვერპლოდ, მე კიდევ მაქვს ძვირფასი

ქკნარ სიყვარულს, უსამზღვრო სიხარულს. თვით ოცნებასაც შენ გწირავ მსხვერპლად, მიიღე იგი!

— რა საჭიროა!

— ვის რათ უნდა შენი ოცნება!

— უკან წაიღე, ეგ სამსხვერპლოდ არ გამოდგება!

— არ გამოდგება!

შესძახეს ქარუმთ.

ობოლი ქურუმთ აღარ უცქერდა. მხოლოდ ღვთაებას მისჩერებოდა. ჰსურდა გაეგო, შეიწყნარა იმისი მსხვერპლი, მისთვის ძვირფასი, გულით მიძღვნილი, თუ უკუ ავდო ქურუმნივით თვით ღვთაებამაც.

— ჩემო ღვთაებავ, ჩემო იმედო, ჩემო ნუგეშო! იქნება შენთვის მცირე არის ეს ჩემი მსხვერპლი, მაგრამ ჩემთვის კი იგი არის მთელი სიმდიდრე, ყველაფერი! მე იმის მეტი აღარა მაქვსრა... მაგრამ, ოჰ, ცოდვილს მპატიოს ჩემმა ღვთაებამ: მე კიდევ მაქვს ერთი სიმდიდრე, ერთი განძი, ერთი ქონება! ობლად შთენილმა, განდევილმა, მარტოთ მავალმა მე



„რევიზორი“ სახალხო სახლის სცენაზე.

ზუბალაშვილის სახალხო სახლში სახალხო წარმოდგენების ხეყების სცენის მოწყობა წარმოდგინეს გოგალის გამგეობა „რევიზორი“. აქ გადაღებული არიან სცენის მოყვარენი გრიმებში.

ბირველი რიგი (სხედან): 1. ნ. გვრიტიძე — ოსიპ (ზის ბირველი მარცხნივ); 2. თ. გვგელაშვილი — გორდდინის ქალი; 3. ი. ზურაბიშვილი — გორდდინი; 4. ე. ჩერქეზიშვილი — გორდდ. გოლი; 5. ვ. შათირიშვილი — ზღესტავი.

მეორე რიგი (დგანან): 1. ა. ადამიძე — დობჩინსკი; 2. ვ. ადამიძე — გორდდ. მღსამსახურე; 3. თ. ბაქრაძე — პომლიძეკინა; 4. ა. ნანი — შვეკინი; 5. ბადრიძე — ვიბნევი; 6. მატარაძე — ლიპკინ-ტიპკინი; 7. დ. ბაქრაძე — ზღობვი; 8. დ. დუმბაძე — ზემლიანი-გა; 9. რემანიშვილი — ბობჩინსკი.

მესამე რიგი (დგანან): 1. პეპანავი — ჟანდარმი; 2. ჩაგუნავა — სვისტუნვი; 3 ანაშვილი — ტრაქტ. ბიჭი; 4. რეკვიაშვილი — ვაჭარი; 5. ინაშვილი — ვაჭარი; 6. ჯამაური — ბოქაული; 7. დედოძე — დერჟიმდრდა.

განძი; ჩემ ღვთაებისთვის არც მას დავზოგავ! მე მაქვს ოცნება, ოცნება მდიდარა, რომელიც შეადგენს ჩემი ცხოვრების თითქმის ნახევარს. ოჰ, რომ იცოდე, რა მარჯვე ფრთები აქვს მას! ელვაზე სწრაფად აფრინდება ხოლმე მიწიდან ცაში, ტანჯვიდან-სიხარულში, უბედურობიდან-ბედნიერებაში! ოჰ! რა შემოქმედია იგი! შენ მოგიძღვნი მსხვერპლად, ჩემო ღვთაებავ, მისგან შექმნილ წალკოტად აყვავებულ ქვეყანას, უკვდავს სიცოცხლეს, უტრემლო ცხოვრებას, დაუმ-

შევთხვევი ერთი ლოცვა ჩემ ობლობისთვის. მას ვიტყვი ხოლმე ყოველ წამში, ყოველ ნაბიჯზე და მასში ვხატავ ჩემსა ტანჯვას, ჩემ გულში-ნადებს.

ამ ლოცვასაც შენ მოგიძღვნი, ჰოი, ციურო! დაე, მე დავრჩე ისევ ობლად, ულოცვაოდაც, მე კი შეყვარება კმაყოფილება რომ ჩემ ღვთაებას ღირსეული შევსწირე მსხვერპლი. აი, ის ლოცვა!

ნათელი მზეო, მთვარე-ვარსკვლავნო!

ლაშაზო მთებო, მინდორნო-ველნო!
 თქვენ გვედრებით, გემუდარებით,
 მიჩვენეთ ობოლს ჩემი მშობელი!
 მსურს ჩავეხუტო მაგრათ იმის მკერდს,
 მსურს ვაგრძნობინო ჩემი ობლობა,

— შორს გასწი ჩქარა, თორემ დაგატყებთ ხედას ღვთისასა!
 ემუქრებოდნენ ქურუმნი ობოლს.
 — არ მეშინია თქვენი რისხვის, არც მუქარის. მე თვითვე წავალ, მოგშორდებით, არ შეგაწუხებთ! ოჰ რათ




სპარსეთის ცხოვრება.

დაპატიმრებული რევოლუციონერები (შაჰის ჩამოგდებად).

ან ნანა მითხრას ან დამიტროს,
 ოდონდ მელირსოს მე მშობლის გრძნობა.
 აი, ეს ლოცვაც!
 ამას იქით ჩემი გული აღარ ამოიკვნესებს მას! ჩემი ენა
 აღარ გაიმეორებს მას. ის შენ გეკუთვნის, შენ შემოგვწირე!
 — უკან წაიღე ყველაფერი, რაც შემოგვწირე!
 — უკან წაიღე შენი აზრები!
 — უკან წაიღე შენი გრძნობა!
 — შენი ოცნება!
 — და შენი ლოცვაც!
 გაშრა ობოლი, გული მოუკვდა, დაღონდა მწარედ.
 — ჰოი, ღვთაებავ, შენ გეკითხები, პასუხი მომეც: ნუ
 თუ უღირსი რამ მოგიძღვნა ობოლის გულმა? არ მწამან
 ქურუმნი! მე მძაგს მათი მოვალეობა! მომეც პასუხი! შეიწი-
 რე შენ ჩემი მსხვერპლი?
 — შორს კადნიერო!
 — შორს საზიზღარო!
 — შორს უგუნურო!
 — ჩვენ მსხვერპლათ ვიღებთ მხოლოდ ოქრო-ვერცხლს,
 თვალ-მარგალიტებს!
 — შენი აზრებიც, შენი გრძნობანიც უკან წაიღე!
 — შენი ოცნებაც, შენი ლოცვაც უკან წაიღე!
 — შორს უგუნურო!
 შესძახდნენ ქურუმნი.
 — შორს კადნიერო!
 ქურუმთა ხმასაც ბანი მისცა თითქოს ღვთაებამ...
 ელდა ეცა, აშფოთდა ობოლი.
 — ნუთუ ღვთაებაც უკუაგდებს ჩემ გულით მოძღვნილს?!
 — უკუ აგდებს!
 — უარს ამბობს!
 — შორს უგუნურო!
 — ვაჰ, მე საწყალი რა რიგ მოვსტყუედი!
 თავს შემოიკრა ობოლმა ხელი.
 — თურმე ღვთაებაც ვერ აფასებს ღვთაებრივ გრძნო-
 ბას. მას ურჩევნია ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი. არ
 მიპოვნია რასაც ვეძებდი, რასაც ვეტოვოდი, არ მიპოვნია,
 არ მიპოვნია!

მოგიძღვნეთ ჩემი სიმდიდრე, გულში-ნადები! — ოჰ, რათ არ-
 ძალმიძს ამოვშალო ჩემი ხსოვნიდან ეს მოგონება და ნიავს
 მივსცე ვით სიზმარი, უკვე გამქრალი!
 გულმოკლული, აღშფოთებული, სინანულით გადარეუ-
 ლი გაბრუნდა ობოლი და თავი მისცა ისევ ქვეყნის ფართო
 უდაბნოს, ისევ დაადგა ის ცხოვრების არეულ გზა-კვალს, იმის
 სიბნელეს, დაბრკოლებას, გაუვალობს და თან კვნესოდა,
 მწარედ კვნესოდა გულდათუთქული:
 — რაღა ვეძებო, თუ ვერას ვპოვებ ამ ქვეყანაში!
 — ვისღა მივმართო, თუ მოვსტყუედი თვით ღვთაება-
 შიცი!..
 ლევ. მეტრეველი.



სპარსეთის ცხოვრება. სპარსული გიმნასტიკა.